

ტექნიკური დავალება

ESP 550 kVA დიზელ-გენერატორის მიწოდება, მონტაჟი და ექსპლუატაციაში ჩაყენება უწყვეტი რეჟიმისათვის (Emergency Standby Power)

მაღალი საიმედოობის დიზელ-გენერატორის შესყიდვა, მონტაჟი და ინტეგრაცია არსებულ ATS-სისტემასთან (ძველი გენერატორის დემონტაჟი და ტრანსპორტირება საწყობში) რომელიც განკუთვნილია მუდმივი (24/7) მუშაობისთვის, უზრუნველყოფს სტაბილურ ძაბვასა და სიხშირეს ყველა დატვირთვის პირობებში, აკმაყოფილებს საერთაშორისო ხარისხის, უსაფრთხოების და ეკოლოგიურ სტანდარტებს.

გენერატორი უნდა აკმაყოფილებდნენ ISO 8528-5 სტანდარტის G2 ან G3 წარმადობის კლასს, რაც უზრუნველყოფს ძაბვისა და სიხშირის მინიმალურ ვარდნას დატვირთვის მკვეთრი ცვლილებისას. გაშვების დრო (სტარტის სიგნალიდან ნომინალური პარამეტრების მიღწევამდე) არ უნდა აღემატებოდეს 15 წამს.

შემოთავაზებული გენერატორი უნდა წარმოადგენდეს მწარმოებლის სტანდარტულ, სერიულად წარმოებულ მოდელს. დაუშვებელია საპროექტო, საცდელი, პროტოტიპული ან მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აგრეგატების შემოთავაზება.

შემოთავაზებული მოდელი, მისი ყველა ძირითადი კომპონენტით (ძრავა, ალტერნატორი, მართვის პანელი), უნდა ფიგურირებდეს მწარმოებლის ოფიციალურ, საჯაროდ ხელმისაწვდომ ტექნიკურ კატალოგში.

წარმოდგენილი CE დეკლარაცია და სხვა შესაბამისობის სერტიფიკატები გაცემული უნდა იყოს კონკრეტულად შემოთავაზებულ მოდელზე და არა ზოგადად მწარმოებელზე. თუ მოდელი ფლობს Uptime Institute-ის 'TIER-Ready' აღიარებას, წარმოდგენილი უნდა იყოს ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

მომწოდებელმა უნდა დაადასტუროს, რომ მწარმოებელს გააჩნია სტანდარტული სათადარიგო ნაწილების კატალოგი შემოთავაზებული მოდელისთვის და უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას.

ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები:

ნომინალური სიმძლავრე

$\geq 500 \text{ kVA PRP (440 kW)}$ $\cos\phi 0,8$
400/230 V, 50 Hz, 3 ფაზა

სამუშაო რეჟიმი

PRIME POWER (PRP) — 500 kVA 24/7
მუშაობა, მინ. 10 % გადატვირთვის

	შესაძლებლობა ერთ საათამდე ყოველ 12 საათში
მუშა სიჩქარე	1500 rpm, ელექტრონული governor-ით
სიხშირის სტაბილურობა	±0.25 % steady-state, დატვირთულ და დაუტვირთავ რეჟიმში
ძრავის ტიპი	ოთხტაქტიანი, მრავალცილინდრიანი, ტურბო დამტენით, წყლის გაგრილებით, ISO 3046 სტანდარტის შესაბამისად
კორპუსი	სრულად დახურული „silent type“ აკუსტიკური კორპუსით, ხმაურის დონე $\leq 75 \text{ dB(A)}$ 7 მეტრში, ISO 3744 სტანდარტის შესაბამისად
ძრავის ემისიის დონე	მინიმუმ Euro 3 ან ექვივალენტი (EU Stage IIIA / EPA Tier 3), ქარხნული სერტიფიკატით და ტესტირების ანგარიშით;
წარმოების სერტიფიკაცია	ISO 9001:2015, ISO 14001:2015; CE და EMC დეკლარაციები; ქარხნული ტესტირების ანგარიშები ISO 8528 და ISO 3046 სტანდარტებით;
ალტერნატორი	თვითაღმგზნებით, brushless ტიპის, AVR-ით (ძაბვის რეგულირება 0,5%); კლასი H; IP23+; ეფექტურობა $\geq 92 \%$; THD $\leq 5 \%$; ISO 8528-3 შესაბამისობა;
გაგრილება	დახურული წყლის სისტემა ინდუსტრიული რადიატორით, ავტომატური თერმოსტატით;
საწვავი	დიზელი, მოხმარება $\leq 125 \text{ ლ/სთ}$ 100 % დატვირთვაზე
საწვავის ავზი	მინიმუმ 24 საათის უწყვეტი მუშაობისთვის გათვლილი, ორკედლიანი ავზი გაჟონვის საწინააღმდეგო მოწყობილობით
მართვის პანელი	მიკროპროცესორული კონტროლერი (AMF / DSE / ComAp ან ექვივალენტი),

	ავტომატური გაშვება/გაჩერება, დატვირთვის/პარამეტრების ჩვენება, დისტანციური მონიტორინგი Ethernet, RS-485, SIM (GSM/4G), სინქრონიზაციის შესაძლებლობა
ხმაურის დონე	≤ 75 dB(A) 7 მეტრში
დაცვის დონე	მინიმუმ IP54
სამუშაო პირობები	ტემპერატურა –15°C დან +45°C-მდე; ტენიანობა ≤ 95 %; სიმაღლე ≤ 1000 მ ზღვის დონიდან

ქარხნული ტესტირების მოთხოვნები:

სავალდებულოა ძრავის, ალტერნატორის და მთლიანი გენერატორის ქარხნული ტესტირების ოფიციალური ანგარიშების წარმოდგენა, სადაც მითითებული იქნება სიხშირის სტაბილურობა ($\pm 0.25\%$), ძაბვის რეგულირება, ეფექტურობა, ემისიის მაჩვენებლები და ტესტის პირობები.

ხარისხისა და შესაბამისობის მოთხოვნები:

გენერატორის და მისი ძირითადი კომპონენტების მწარმოებლები უნდა ფლობდნენ შემდეგ სერთიფიკატებს:

- ISO 9001:2015 – ხარისხის მართვის სისტემა (მხოლოდ წარმოების ქარხნისთვის);
- ISO 14001:2015 – გარემოსდაცვითი მართვის სისტემა;
- ISO 8528-1, 8528-3, 8528-5 – დიზელ-გენერატორის შესრულების, სტაბილურობისა და ტესტირების სტანდარტები;
- ISO 3046 – ძრავის ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი;
- CE და EMC შესაბამისობის დეკლარაციები – მთლიანი genset-ის უსაფრთხოებისა და ელექტრომაგნიტური თავსებადობის დასადასტურებლად.

მონტაჟი და ტესტირება ობიექტზე

გენერატორის მიწოდება, საძირკველზე დაყენება, გამონაბოლქვისა და საწვავის სისტემის მონტაჟი, ელექტრული შეერთება ძირითადი განაწილებისთან (არსებულ ATS-თან), დატვირთვით ტესტირება სინუსოიდის გადაღებით და ექსპლუატაციაში მიღების აქტით.

გარანტია და სერვისი

გარანტია: მინ. 36 თვე ან 3000 სთ; სერვისის შესაძლებლობა ≤48 საათში; სათადარიგო ნაწილების მოწოდების შესაძლებლობა.

პირობები

გენერატორი ჩაითვლება დაუშვებლად, თუ ძირითადი კომპონენტები არ ფლობენ ISO 9001 და ISO 14001 სერტიფიკატებს ან CE შესაბამისობის დეკლარაციას. ქარხნული ტესტირების ანგარიშები უნდა შეესაბამებოდეს ISO 8528 ან ISO 3046 სტანდარტებს. ემისია უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ Euro 3 დონეს. სიხშირის სტაბილურობა არ უნდა აღემატებოდეს $\pm 0.25\%$.

უპირატესობა მიენიჭებათ Uptime Institute- ის TIER-Ready აღიარების მქონე მწარმოებლებს

*შენიშვნა:

ტექნიკურ დავალებაში მოთხოვნილი ტექნიკური პარამეტრების ცხრილი თანდართული უნდა იყოს შეთავაზებასთან ერთად.